

კორნელი კეკელიძე

ეტიუდები

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან

IV

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

1957

XIV

„როსტომიანის“ ერთი საკითხისათვის*

როსტომიანის ერთი, საკმაოდ მოზრდილი, ნაწილი, როგორც ცნობილია, გაულექსავს სერაპიონ სოგრატიძე-საბაშვილს. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში საბოლოოდ გარკვეულია, რომ სერაპიონს, თავისი შრომის შესრულებისას, ხელთ ჰქონია არა სპარსული დედანი უშუალოდ, არამედ მისი პროზაული თარგმანი კლასიკურიპერიოდისა, რომელიც სერაპიონს გაულექსავს და რომელიც ჩვენამდე არ შენახულა.

იმ არგუმენტს, რომელიც ამ შეხედულების სასარგებლოდ თავის დროს მოგვყავდა ჩვენ, ახლა შეგვიძლია დავუმატოთ ონომასტიკური ხასიათის მოსაზრებანიც.

ამ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს შემდეგი გარემოება. მომეტებული ნაწილი მაჰნამეს სპარსული სახელებისა ჩვენში ეროვნულ, ქართულ სახელად ქცეულა. ეს სახელები ქართულ წარმოთქმაში ერთითა და იმავე სახით არ წარმოგვიდგება არც ლიტერატურაში, არც ზეპირში: სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა პირთა გამოთქმაში ისინი სხვადასხვა ვარიაციით გვევლინებიან. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

სპარსული „ისფანდიერ“ კლასიკურ პერიოდში ცნობილი იყო ჩვენში როგორც „სპანდიატ“¹ resp. „სპანდიარ“², „სპანდიატ“ ეწოდება მას სერაპიონის შრომაშიც³.

*პირველად დაიბეჭდა აკად. „მოამბეში“, ტ. III, 1942

¹ლეონტი მროველის ისტ. გ. 13, მარიამისეული რედაქცია.

²ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გამ. კ. კეკელიძისა, გვ. 55

³როსტომიანი, I, 1082, II, 5175-5180, 5183 და სხვ.

სპარსული სახელი „კაიკაუს“ კლასიკური ხანის ქართულ ლიტერატურაში ცნობილი იყო როგორც „ქექაოზ“⁴, რაც ლეონტი მროველის შრომის მარიამისეულ ნუსხაში დამახინჯებულია როგორც „ქეკაპოს, კეკაპოს, ქალკაპოს, კეპოს, ქესაპოს“⁵. სერაპიონს შრომაშიაც ეს სახელი ჩვენ გვაქვს როგორც „ქექაოზ“⁶.

სპარსული „ტაჰამთან“, რომელიც როსტომის გოლიათობისა და მამაცობის ეპითეტადაა ნახმარი სპარსულში, კლასიკური პერიოდის ქართულ მწერლობაში ქცეულა როსტომის მეორე სახელად „თაჰამთან“-ის ფორმით⁷

#160

სერაპიონს შრომაშიაც „თაჰამთან“, resp. „თაამთან, თამთან“, არის როსტომის საკუთარი სახელი⁸.

ისმის საკითხი: რატომ ოდნავ მაინც არ შეიცვალა არ სახელების ფორმა სერაპიონის შრომაში შედარებით იმასთან, რაც კლასიკურ პერიოდში გვაქვს? რატომ მოხდა, რომ „თაჰამთან“ სერაპიონის შრომაშიც დარჩა საკუთარ სახელად და არა ეპითეტად? იმიტომ რომ სერაპიონის შრომა წარმოადგენს კლასიკური პერიოდის პროზაული თარგმნისას გალექსვას და არა აღორძინების პერიოდისას. სერაპიონს რომ ხელთ ჰქონოდა კლასიკური პერიოდის შემდეგ წარმოშობილი თარგმანი, ამ უკანასკნელში ეს სახელები ცოტა რაიმე განსხვავებით მაინც იქნებოდა მოცემული.

ჩვენს დებულებას განსაკუთრებით ამტკიცებს როსტომის ცოლის, ზურაბის დედის, სახელი. სპარსულად ის არის „თანჰიმე“, ქართულად კი კლასიკურ პერიოდში ის ცნობილი იყო როგორც „თუმიანი“⁹; „თუმიანი“ ეწოდება მას სერაპიონის

⁴ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 112.

⁵ იქვე, გვ. 11.

⁶ როსტომიანი II, 2956, 2962

⁷ ისტორიანი და აზმანი, გვ. 55, 80.

⁸ როსტომიანი, I, 1840, 1843, II, 3985

⁹ ისტორიანი და აზმანი, გვ. 80.

შრომაშია¹⁰. საიდან გაჩნდა სერაპიონის შრომაში სახელი „თუმიანი“, რომელშიაც სპარსული ფორმა (თაჰმინე) არც ისე უცვლელადაა მოცემული? თუ ხალხურ როტომიანში ის „ხურომანად“ შეიცვალა, ნუთუ აღორძინების ხანის ახალ თარგმანში მან ცოტაოდენი ცვლილება მაინც არ განიცადა? პასუხი მხოლოდ ერთია: სერაპიონის „თუმიანი“ კლასიკურ პერიოდის „თუმიანისგან“ მომდინარეობს.

¹⁰ როსტომიანი, I, 2633, 2644, 2916.